სპს “საინჟინრო ნაგებობათა პროექტირების, კვლევის და ექსპერტიზის სამეცნიერო ცენტრი

LTD “THE SCIENTIFIC CENTER OF INGINEERING BUILDING DESIGNING RESEARCH AND EXPERTISE

tel:577588218 599179823(032)2227704 E-mail: d.tabatadze@gtu,ge

27.03.2023-#105

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, ნოზაძის ქ. 29ბ-ში (ს.კ. 01.11.13.002.081) მდებარე საცხოვრებელი მრავალბინიანი შენობის მდგრადობის დადგენის მიზნით

.

ქ. თბილისი

2023 წელი

ვამტკიცებ შპს. ექსპერტიზის ცენტრი''-ს

დირექტორი ,, “ დ. ტაბატაძე

,,__27___'' ,,_____03_____'' 2023 წ

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, ნოზაძის ქ. 29ბ-ში (ს.კ. 01.11.13.002.081) მდებარე საცხოვრებელი მრავალბინიანი შენობის მდგრადობის დადგენის მიზნით

შემსრულებლები:

ექსპერტი, პროფესორი დ. ჯანყარაშვილი

შემადგენლობა

1. ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი.....3
2. გამოყენებული აპარატურა 3
3. გამოყენებული ლიტერატურა 4
4. კვლევითი ნაწილი 4
5. დასკვნა 6
6. დანართი 7

1. ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

2023 წლის 23 მარტს შპს „არტე დეველოპენტი”-ს დირექტორ გოდერძი სეფიაშვილსა და შპს ,,შენობა-ნაგებობათა კვლევისა და ექსპერტიზის ცენტრი’’-ს დირექტორს დემურ ტაბატაძეს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად დაგვევალა ქ. თბილისი, ნოზაძის ქ. 29ბ-ში (ს.კ. 01.11.13.002.081) მდებარე საცხოვრებელი მრავალბინიანი შენობის მდგრადობის დადგენის მიზნით

2. გამოყენებული აპარატურა

1. ლაზერული მანძილმზომი „STANLEY TLM 3000“№1-77-930;
2. ციფრული ფოტო აპარატი „FUJIFILM” №1WR51706;
3. სკლერომეტრული ჩაქუჩი „ELCOMETER 181“ №11005989;

3. გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება „გაცემის წესისა და სანებართვო პირობეების შესახებ“;

2. სამშენებლო ნორმების და წესების - „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პრ 01.01-09) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/2284. 2009 წლის 7 ოქტომბერი, ქ. თბილისი;

3. სამშენებლო ნორმების და წესების - „ბეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციები“ (პრ 01.01-09) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/2391. 2009 წლის 23 ოქტომბერი, ქ. თბილისი;

4.სამშენებლო ნორმების და წესების -„შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (პრ 02.01-08) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/1924. 2008 წლის 17 სექტემბერი, ქ. თბილისი;

5. СНиП 2ю02ю01-83* „შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (1995 წ-სგანახლება);

6. СП 13-102-2003, Правила обследования технического состояния несущих стройтельных конструкций зданий и сооружений.

4. კვლევითი ნაწილი

გამოსაკვლევი შენობა მდებარეობს ქ. თბილისი, ნოზაძის ქ. 29ბ-ში (ს.კ. 01.11.13.002.081). ნოზაძის ქ. 29გ-ში (ს.კ. 01.11.13.002.081). შენობა ცამეტსართულიანია, აქედან ორი სართული გამოყოფილია ავტოფარეხისთვის. გეგმაში რთული მოხაზულობის მაქსიმალური ზომებით 78.00X42.00 მ. და მდებარეობს ოდნავ დახრილ რელიეფზე.

შენობის ძირითადი სტრქუქტურული სისტემა წარმოადგენს რკინაბეტონის კარკასულ რიგელიან სტრუქტურას. შენობის სვეტები, რიგელები და ფილები ერთმანეთან ხისტად არიან შერთებული და ქმნიან ერთიან სივრცულ ხისტ სისტემას. კარკასი შევსებულია სამშენებლო მცირე ბლოკის შემავსებლით. შენობის საძირკველად გათვალისწინებულია 80 სმ-იანი რკინაბეტონის ფილა. სართულშუა რკინაბეტონის გადახურვებით. შენობას გააჩნია ორი კიბის უჯრედი დაკავებულობიდან და გამოყენების საჭიროებიდან გამომდინარე. სართულებს შორის კავშირი განხორციელებულია რკინაბეტონის კიბეებით და ლიფტით.

შენობის გადახურვა პრტყელია.

შენობის ვიზუალური შემოწმებით დადგინდა, რომ მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მას არ გააჩნია ჯდენითი ან სხვა რაიმე მიზეზით გამოწვეული დეფორმაციის ნიშნები, რომლებიც უარყოფით გავლენას მოახდენდა მის კონსტრუქციების მდგრადობაზე. მზიდი კონსტრუქციები მდგრადია და აკმაყოფილებს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებს.

შენობას გვერდით მიშენებული აქვს ორსართულიანი ავტოფარეხი. კონსტრუქციულად ავტოფარეხი არის კარკასული ტიპის. მშენებლობის პერიოდში ავტოფარეხის ქვედა სართულზე „ო“ და „ჟ“ ღერძებს შორის მოთავსებული რიგელის აპალობკა ცუდად იყო შეკრული და ბეტონის ჩასხმისას მან მიიღო დეფორმაცია, რის გამოც რიგელის ვერტიკალურმა კედელმა მიიღო დახრა. რიგელის ზედა ნაწილში გაიზარდა არმატურის დამცავი ბეტონის ფენა. ამით რიგელის ზიდვისუნარი არ შემცირებულა.

მზიდი კონსტრუქციები მდგრადია და აკმაყოფილებს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებს.

დასკვნა

ქ. თბილისი, ნოზაძის ქ. 29ბ-ში (ს.კ. 01.11.13.002.081) მდებარე საცხოვრებელი მრავალბინიანი შენობის მდგრადობის შესწავლით დადგინდა:

1. ძირითადი შენობის მდგომარეობა მდგრადობის თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელია. მის მზიდ კონსტრუქციას არ გააჩნია საყრდენების ჯდენით ან სხვ არაიმე მიზეზით გამოწვეული დეფორმაციები, რომელიც უარყოფით გავლენას მოახდენდა ნაგებობის მდგრადობაზე.
2. შენობას გვერდით მიშენებული აქვს ორსართულიანი ავტოფარეხი. კონსტრუქციულად ავტოფარეხი არის კარკასული ტიპის. მშენებლობის პერიოდში ავტოფარეხის ქვედა სართულზე „ო“ და „ჟ“ ღერძებს შორის მოთავსებული რიგელის აპალობკა ცუდად იყო შეკრული და ბეტონის ჩასხმისას მან მიიღო დეფორმაცია, რის გამოც რიგელის ვერტიკალურმა კედელმა მიიღო დახრა. რიგელის ზედა ნაწილში გაიზარდა არმატურის დამცავი ბეტონის ფენა. ამით რიგელის ზიდვისუნარი არ შემცირებულა.

რიგელის მზიდი კონსტრუქცია მდგრადია და აკმაყოფილებს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებს.

დანართი














405329078

CV



პერსონალური ინფორმაცია

სახელი, გვარი:	ჯანყარაშვილი დავითი
დაბადების თარიღი:	1946 წლის 3 თებერვალი
დაბადების ადგილი:	ქ. თბილისი
მისამართი :	ქ. თბილისი, ვ, შაველას 45, კ. 24, ბ.31
ტელეფონი:	239-10-79, 599-33-20-64
ელ.ფოსტა:	diogeni.1900@gmail.com

პროფესიული მოღვაწეობა

სამეც. / აკად. ხარისხი:	ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი
სამუშაო ადგილი/ორგანიზაცია:	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების მისამართი:	კოსტავას ქ. № 68, სტუ-ს I სსწავლო კორპუსი, V სართული, ოთახი ა-545
თანამდებობა :	პროფესორი

განათლება

ჩარიცხვის და დამთავრების წლები	1964-1969 წ.წ. ვ.ი. ლენინის სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამშენებლო ფაკ. წარჩინებით. 1973-1976 წ.წ. ასპირანტურა, ქ.თბილისის კ. ზავრიევის სახელობის ”სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ინსტიტუტის ზღვრული წინასწორობის განყოფილების ასპირანტი.” ამავე წლებში დისერტაციაზე ვმუშაობდი ქ. ვილნიუსის სამშენებლო ინსტიტუტის სამშენებლო მექანიკის კათედრაზე. ვილნიუსის სამშენებლო საინჟინრო ინსტიტუტი 1979 წ. 14 მაისი დისერტაცია “ჰიპარის ფორმის წინასწარდაძაბული ვანტური სისტემის ზღვრული მდგომარეობა გეომეტრიული არაწრფიობის გათვალისწინებით“. ხელმძღვანელები პროფესორი: ა. ჩიჟასი და პროფესორი: ნ. ახვლედიანი.

სამუშაო გამოცდილება

2006 წლიდან-დღემდე	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის მიმართულების პროფესორი.
1998 -2006	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამძენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის მიმართულების ასოცირებული პროფესორი.



1976-1979	საქართველოს მეცნიერეებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი
1969-1973	საპროექტო ინსტიტუტ "კავგიპროტრანსის" სსმ განყოფილების უფროსი ინჟინერი.

მეცნიერული მიღწევები

მონოგრაფია	
სახელმძღვანელო	5
სტატიები	62
კონფერენციები	5
გამოგონებები	-
გრანტები	-

მეცნიერული მოღვაწეობის დაწვრილებით გაცნობა შეგიძლიათ შემდეგ მისამართზე:
http://gtu.ge/mecniereba2011

ენების ცოდნა

რუსული	თავისუფლად
გერმანული	თავისუფლად
ინგლისური	ლექსიკონის გამოყენებით

პედაგოგიური საქმიანობა

პროფესიული სწავლება	ტექნიკური მექანიკა
ბაკავლატრიატი	სამშენებლო მექანიკა
ბაკავლატრიატი	სეისმომედეგობა
მაგისტრატურა	თხელკედლიანი სივრცითი სისტემები



საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ჯილდო დ.გ. ჯანყარაშვილს-საქ. ვ.ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაქულტეტის პროფბიუროს თავჯდომარეს საქართველოს პროფკავშირების XVII ყრილობის დელეგატს, განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის.

კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი განათლების სამინისტროს ჯილდო 1983-86 წწ-ში ქ. პნომპენის უმაღლეს ტექნიკურ ინსტიტუტში პედაგოგიური მოღვაწეობისთვის.

თეორიული მკვლევარი. გაგზავნილია МНТЦ.

2002-2013 წლების განმავლობაში მრავალი შენობა-ნაგებობის ექსპერტიზა.მდგრადობის გამოკვლევა, ნაგებობათა ურთიერთ გავლენის გამოკვლევა მშენებლობის პროცესში.

ბოლო 5 წლის მანძილზე პროფესორ დავით ჯანყარაშვილის საექსპერტო საქმიანობის თაობაზე, სამშენებლო კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევასა და ექსპერტიზაში:

- ქ. თბილისში კაიროს ქ. #38-ში მდებარე სამრეწველო შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და დასკვნის მომზადება. 2009 შპს `ორდი~

-ქ. თბილისში სანდრო ეულის ქ. #5ა-ში მდებარე `რუსთავი 2~-ის კუთვნილი შენობის ე.წ. სტუდიური ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და დასკვნის მომზადება. 2009 შპს სამაუწყებლო კომპანია `რუსთავი 2~

-ქ. თბილისში ი. ჭავჭავაძის გამზირის I ჩიხის #22ა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის და კონსტრუქციულ ნაწილზე საექსპერო დასკვნის მომზადება. 2009 მოქალაქე ვასილ სოხაძე

-ქ. რუსთავში მშვიდობის ქ. #12 ქიმბოჭკოს ტერიტორიაზე ტყავის წარმოების საამქროების და ადმინისტრაციული შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და დასკვნის მომზადება. 2009 შპს `ფილიმასკა.ჯი~

-ქ. მარნეულში 26 მაისის ქუჩაზე მდებარე ავტოგასამართი სადგურის და ავტოსახელოსნოების ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ; 2009 –

-ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირის #33ბ-ში მდებარე რვასართულიან ორ სადარბაზოიანი შენობაზე განხორციელებული მინაშენის მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ ვიზუალური დათვალიერებით. 2009 ბმა ამხანაგობა

-ქ. თბილისში შეშელიძის ქ. #41-ში მდებარე ნაკვეთის და ნაკვეთში აშენებული შენობის ტექნიკური ექსპერტიზა; 2009 მოქალაქე ზაურ ბიწაძე

-ქ. თბილისში კაიროს ქ. #38-ში მდებარე შენობა- ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა;2009 –

-მოსკოვის გამზირზე #1-ში მდებარე კორპუსის II სადარბაზოს I სართულის ღია ნაწილის კონსტრუქციების მდგომარეობის გამოკვლევს და დასკვნის მომზადება;2010 –

-ქაიროს ქუჩა #13ა-ში მდებარე სამაცივრო-სასაწყობო ნაგებობის ექსპერტიზა; 2010 –

-ქ. თილისში, საბურთალოს ქ. #43-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მზიდი კონსტრუქციების ექსპერტიზა;2010

-ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონში კახეთის გზატკეცილზე შპს `ელსავაკო~-ს კუთვნილ ტერიტორიაზე ბიზნეს ცენტრის ნაგებობის რკინაბეტონის მზიდი კონსტრუქციების სიმტკიცის შემოწმება; 2010

-ქ. მარნეული, გამსახურდიას ქ. #3-ში მდებარე ერთსართულიანი საზოგადოებრივი დანიშნულების შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა მისი შემდგომი უსაფრთხო ექსპლუატაციის მიზნით; 2010

-ქ. #18/20 მარცხენა ფლიგელის დამხმარე შენობა; – ქ. რუსთავში, წმ. ნინოს ქ. #5, ამბულატორიული მეთვალყურეობისა და კრიზისული ინტერვენციის ცენტრის შენობა;
– ქ. თბილისში, ქავთარაძის ქ. #21ა, არსებული კომპლექსის 5 სართულიანი შენობა;
-ქ. თბილისში უნივერსიტეტის ქ. #2-ში მდებარე სს `თიბისი ბანკი~-ს კუთვნილი შენობა-ნაგებობების გამოკვლევა; 2012 სს `თიბისი ბანკი
-ქ. თბილისში, მიცკევიის ქ. #9-ში მდებარე შენობა- ნაგებობის (ყოფილი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის შენობა) ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა;
კონსტრუქციული ელემენტების სრული ინსტრუმენტული გამოკვლევა;
-ქ. თბილისში, შატბერაშვილის და კეკელიძის ქუჩების მიმდებარედ მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის რკინაბეტონის კონსტრუქციების სიმტკიცის გან-
საზღვრა და საპროექტოსთან შესაბამისობის დადგენა; 2012 შპს `პაულ შულერ უნდ ირაო გრუპ~
-ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. #2-ში მდებარე მრავალფუნქციური შენობის ავტოფარეხის ოთხი სართულის ტორსებზე ღიობების გამოღების და პანდუსის მოხსნის მიზნით გაძლიერების პროექტის მომზადება; 2012 შპს `ინ-სი~
-ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველაზე მდებარე სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა, დაშლა-დემონტაჟის სამუშაოების პროექტის და კიბის, პანდუსის და გადახურვის მოწყობის კონსრუქციული პროექტის მომზადება; 2012 შპს `თბილისის #1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი~
-ქ. თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქ. #48-ში კორპუსი #10-ის მიმდებარედ ერთსართულიანი ნაგებობის შიდა წყლის მილების ხანდაზმულობის დადგენა; 2012 შპს `ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი~
-დუშეთის რაიონში, სოფელ სეთურებში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ #71.35.47.024) მშენებარე 9-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის სახურავის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა მისი პროექტთან შესაბამისობისა და მდგრადობის დადგენის მიზნით; 2013 შპს `გრეენ ჭალლ დეველოპმენტ.
-ქ. თბილისი, აღმაშენებლის 151-ის კორპუსის სადარბაზოს რემონტის შესრულებული სამუშაოების (ფორმა #2) ექსპერტიზა; 2014 შპს `ჯეოგარანტი~
-ქ. თბილისი, ლიხაურის შესახვევი #9-ში შესრულებული სამუშაოების მოცულობების ექსპერტიზა; 2015 ბინათმშენებლობის ამხანაგობა.


ДИПЛОМ
КАНДИДАТА НАУК
№ 029374
Москва 30 мая 1979 г.
Решением
Совета Вильнюсского инженерно-строительного
института
от 27 декабря 1978 г. (протокол № 10)
Джанкарашвили Давиду Георгиевичу
ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ
КАНДИДАТА
ТЕХНИЧЕСКИХ НАУК
Председатель совета
Ученый секретарь совета

АТТЕСТАТ
ДОЦЕНТА

Решением
Министерства высшего и среднего
специального образования СССР
от 15 мая 1968 г. (протокол № 353/8)
Джанкарашвили Давиду Георгиевичу
ПРИСВОЕНО УЧЕНОЕ ЗВАНИЕ
ДОЦЕНТА
по кафедре строительной механики

ДЦ № 005124

Председатель коллегии
Министр
высшего и среднего специального
образования СССР

Главный ученый секретарь

Москва



დიპლომი

Ш № 451574

ДИПЛОМ

Ш № 451574

Настоящий диплом выдан Джанкарашвили
Давиду Георгиевичу
в том, что он в 1961 году поступил
в Груз. орден Трудового Красного Знамени
политехнический институт им. В.И. Ленина
и в 1969 году окончил полный курс
по специальности Мосты и тоннели

Решением Государственной экзаменационной
комиссии от 28 июня 1969 г.
присвоена квалификация инженера-
строителя мостов и тоннелей

Председатель Государственной
экзаменационной комиссии

Ректор

декан

М. П.

Город Тбилиси 12 сентября 1969 г.

Регистрационный № 1810

Московская типография Госника. 1968.




Georgia
IDENTITY CARD
მოქალაქის პირადობის მოწმობა
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
დავით
DAVID
გვარი / LAST NAME
ჯანყარაშვილი
JANKARASHVILI
მოქ. / CIT
სქესი / SEX
პირადი No / PERSONAL No
GEO
მმ / M
01008039076
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
03.02.1946
24.12.2026
ბარათის No / CARD No
15IF45608
ხელმოწერა
SIGNATURE


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
24.12.2016
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2016
სწს-ს რეგისტრაციის No 26-3184
IDGE015IF45608201008039076<<<<
4602033M2612247GE0<<<<<<<<<<<6
JANKARASHVILI<<DAVID<<<<<<<<<<


405329078